

ტექნიკური დავალება

1. შესყიდვის ობიექტი:

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა და გურიის რეგიონში საავტომობილო გზების პერიოდული შეკეთების სამუშაოები.

2. სამუშაოთა შემადგენლობა

- 2.1. შესასრულებელი სამუშაოების ჩამონათვალი განსაზღვრულია სატენდერო დოკუმენტაციის დანართი N1-ში;
- 2.2. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ერთეულის ფასები არ უნდა აღემატებოდეს დანართი N1-ში მითითებული შესაბამისი ერთეულის ზღვრული ფასების ოდენობას;
- 2.3. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის დავალების შემთხვევაში უზრუნველყოს ერთდროულად არანაკლებ 3 (სამი) ობიექტზე მუშაობა;
- 2.4. შემსყიდველი არ იღებს ვალდებულებას ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადაში ხელშეკრულების ღირებულების სრულად დაკვეთის შესახებ;
- 2.5. ცალკეულ შემთხვევებში მიმწოდებელს სამშენებლო ობიექტის კონკრეტული მისამართი, დეფექტური უწყისი ან/და პროექტი და მოცულობათა უწყისი გადაეცემა წერილობით;
- 2.6. მიმწოდებელი ვალდებულია წერილობით დავალების მიღებიდან (დეფექტური უწყისი ან/და პროექტის და მოცულობათა უწყისის შემსყიდველის მიერ გადაუცემლობის შემთხვევაში) მითითებულ ვადაში წარმოადგინოს და შეათანხმოს შემსყიდველთან შესასრულებელ სამუშაოთა დეფექტური უწყისი ან/და პროექტი და მოცულობათა უწყისი;
- 2.7. შემსყიდველი უფლებამოსილია მოწოდებული დეფექტური უწყისი ან/და პროექტი და მოცულობათა უწყისი შეითანხმოს ან ექსპერტიზისათვის წარუდგინოს მის მიერ შერჩეულ საექსპერტო ორგანიზაციას, რომლის მომსახურების ღირებულების ანაზღაურებას უზრუნველყოფს შემსყიდველი;
- 2.8. შემსყიდველი ვალდებულია აცნობოს მიმწოდებელს დეფექტური უწყისში ან/და პროექტში და მოცულობათა უწყისში რაიმე წუნის (ხარვეზის) აღმოჩენის შესახებ, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია შენიშვნების გაცნობიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას აღმოჩენილი წუნი;
- 2.9. მიმწოდებელს სამშენებლო ობიექტის კონკრეტული მისამართი, დეფექტური აქტი ან/და პროექტი, მოცულობათა უწყისი და სამუშაოებისთვის განსაზღვრული დაწყების და დამთავრების ვადები გადაეცემა წერილობითი დავალებით;
- 2.10. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოების დაიწყოს წერილობითი დავალების მიღებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში.

3. სამუშაოს შესრულების ვადა

სამუშაოების მიწოდების ვადა: ეტაპობრივად, წერილობითი დავალების შესაბამისად, ხელშეკრულების გაფორმებიდან 24 კალენდარული თვე.

4. სამუშაო ადგილის მომზადება და გარემოს დაცვა

შემსრულებელი პასუხისმგებელია სამუშაოსათვის გამოყოფილი ადგილის შესაბამის გამოყენებაზე, სამუშაოების დასრულების შემდეგ გარემოს საჭირო და სათანადო აღდგენაზე ავტოტრანსპორტის ინტენსიური მოძრაობის პირობებში შეასრულოს სამუშაოები პერსონალისთვის უსაფრთხო პირობების და ეკოლოგიურად მისაღები გზით და ვალდებულია დაიცვას შემეგი პირობები:

- სამუშაოების შესრულების პროცესში საავტომობილო გზაზე უზრუნველყოს სამუშაო ადგილის შემოფარგვლა, დამცავი ბარიერების და გამაფრთხილებელი ნიშნების და ციმციმების დაყენება. საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს მესიგნალებით.
- უზრუნველყოს სამუშაო ადგილის ფარგლებში მდებარე ხეების და მცენარეების სიცოცხლისუნარიანობა;
- მინიმუმამდე დაიყვანოს ხმაურის, ვიბრაციის და მტვრის გავლენა;

- სამუშაოების დასრულების შემდეგ შემსრულებელი ვალდებულია თავისი ძალებით და სახსრებით დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი მანქანა-მექანიზმებისაგან, მოწყობილობა-დანადგარებისაგან, მასალებისაგან, დროებითი ნაგებობებისაგან და ა. შ.;
- სამუშაო ადგილის ფარგლებში უზრუნველყოს გარემოზე ეკოლოგიური ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანა.

5. სამუშაოთა წარმოება

შესრულებული სამუშაოთა მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად მოქმედი სამშენებლო ნორმების შესაბამისად, შემსრულებელი ვალდებულია, მასალების გამოცდისათვის საჭირო სპეციალიზირებულ აკრედიტირებულ ლაბორატორიაში ჩაატაროს გამოსაყენებელი მასალის და შესრულებული სამუშაოების (ასფალტბეტონის, ცემენტბეტონის, ღორღი, ქვიშა და სხვა, საფუძვლის დატკეპნის კოეფიციენტის და დრეკადობის მოდულის განსაზღვრა) ხარისხის ყველა საკონტროლო ლაბორატორიული გამოცდა და შემოწმება მათი გამოყენების ვარგისიანობაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სამუშაოების შესრულების პროცესში შემსრულებელი ვალდებულია საზედამხედველო ორგანიზაციას წარუდგინოს გამოყენებული მასალების (არმატურა, ნაგლინი ფოლადი, რკინაბეტონის ანაკრები კონსტრუქციები, ლითონის მილები, მინერალური ფხვნილი, პენოპლასტი, ბიტუმი, ცემენტი, საგზაო ნიშნები, ფოლადის ბაგირით შემოფარგვლა, საღებავი და სხვა) შესაბამისობის და ხარისხის სერთიფიკატები და ბეტონის და ასფალტბეტონის ნარეგების რეცეპტები.

მიმწოდებლების მასალებს და კონსტრუქციებს უნდა ჰქონდეს პასპორტი ან სერთიფიკატი. მათი ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ სტანდარტებსა და სამშენებლო ნორმებს.

6. გეოდეზიური ზედამხედველობა

შემსრულებელი ვალდებულია თავისი ძალებითა და სახსრებით უზრუნველყოს მშენებარე ობიექტზე გეოდეზიური ანათვლების აღება.

7. სამუშაოთა წარმოების ნორმატიული დოკუმენტები

მუშაობის პროცესში შემსრულებელი ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი სამშენებლო და გარემოსდაცვითი ნორმებისა და წესების შესაბამისად.

სახელშეკრულებო ობიექტზე შემსრულებელმა უნდა აწარმოოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი დოკუმენტები.

8. სამუშაოთა მიღება-ჩაბარების წესი

- 8.1. სამუშაოების მიღება-ჩაბარების წესი განისაზღვრება ამ პუნქტით, ხელშეკრულების პირობებით;
- 8.2. ადგილზე შემოწმებული მოცულობების ჩამონათვალის საფუძველზე საზედამხედველო ორგანიზაცია და მიმწოდებელი დაადგენენ საჭირო ხარისხით შესრულებულ სამუშაოთა მოცულობას, რომელიც უნდა იქნას შეტანილი საანგარიშო პერიოდის შესრულებული სამუშაოთა მოცულობების მიღების აქტებში;
- 8.3. დასრულებული სამუშაოების მიღება განხორციელდება საქართველოს მოქმედი ნორმატიული აქტების შესაბამისად;
- 8.4. საზედამხედველო ორგანიზაცია ყოველი შესრულებული სამუშაოების მიღებისას ვალდებულია იხელმძღვანელოს დეფექტური აქტით ან/და საპროექტო-საანგარიშობრივ დოკუმენტაციით და შესრულებული სამუშაოების მოცულობებით და არ მიიღოს წუნდებული და შესაბამისი ლაბორატორიული დასკვნების არმქონე სამუშაოები;
- 8.5. მიმწოდებელი აბარებს სამუშაოებს საზედამხედველო ორგანიზაციას, რომელიც თავის მხრივ მას წარუდგენს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს. სამუშაოების მიღება-ჩაბარება მოხდება, შემდეგი დოკუმენტების წარდგენის შემდეგ: მიღება-ჩაბარების აქტის (ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიღების აქტი) და დამატებითი ღირებულების გადასახადის ანგარიშ-ფაქტურის გაფორმების შემდეგ;
- 8.6. შესრულებული სამუშაოების შემოწმება განხორციელდება სამუშაოების შესრულების ადგილზე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მასალების გამოცდა მოხდება ამ მასალების გამოცდისათვის საჭირო აკრედიტირებულ ლაბორატორიებში.

9. საავტომობილო გზების პერიოდული შეკეთების სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების ნუსხა

№	მანქანა-დანადგარების დასახელება	რაოდენობა
1	ა/ბეტონის დამგები	2
2	ექსკავატორი	2
3	სატკეპნი	6
4	ავტოგრეიდერი	2
5	დამტირთველი პნევმოთვლებზე	3
6	ავტოთვითმცლელი	9
7	ა/ბეტონის საფრეზი დანადგარი	1
8	ავტომწე	1

10. სამუშაოს შესრულების ფორმა და ადგილი

მიწოდების ადგილი – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა და გურიის რეგიონი.